კლიმატური განგაში: მოქმედების დროა !

მაია ბლიაძე



პრეზენტაციაში გაეცნობით:

- რა არის კლიმატის ცვლილება?
- რა იწვევს კლიმატის ცვლილებას?
- რა შეგვიძლია გავაკეთოთ კლიმატის ცვლილების შესარბილებლად?

თქვენი აზრით, რა იწვევს
კლიმატის ცვლილებას?

რა არის კლიმატის ცვლილება?

კლიმატის ცვლილება ამინდისა და ტემპერატურის გრძელვადიანი ცვლილებაა.

რა განსხვავებაა ამინდისა და კლიმატის ცვლილებას შორის?

ამინდი ატმოსფეროს მდგომარეობის მოკლევადიანი პირობებია, ხოლო კლიმატი ამინდების განმეორებადობაა წლიდან წლამდე.
კლიმატის ცვლილება გრძელვადიან ცვლილებებს ეხება.

კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზები

კლიმატის ცვლილების 2 მიზეზი

კლიმატის ცვლილებას იწვევს 2 მიზეზი.

1. ბუნებრივი ფაქტორები
2. ადამიანის საქმიანობა

ბუნებრივი მიზეზები

ვულკანური ამოფრქვევები

ვულკანების ამოფრქვევისას ატმოსფეროში უზარმაზარი რაოდენობით ნახშირორჟანგი გამოიყოფა.

მზის რადიაცია

დედამიწის ორბიტის ცვლილება მზის გარშემო იწვევს ტემპერატურის მატებას ატმოსფეროში.

ტექტონიკური ფილები

ტექტონიკური ძვრები იწვევს ვულკანურ ამოფრქვევებს, რასაც ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გამოყოფა ახლავს თან.



დედამიწის დახრილობის ცვლილება

დედამიწის მზისკენ
დახრილობაზეა
დამოკიდებული
დედამიწაზე
ტემპერატურის მატება
ან კლება.

ადამიანის საქმიანობის გავლენა კლიმატის ცვლილებაზე



ტრანსპორტის გამოყენება

ტრანსპორტის მოძრაობისთვის ნავთობის დიდი რაოდენობა და წიაღისეული საწვავის გამოყენებაა საჭირო, რის შედეგადაც ატმოსფეროში დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგი გამოიყოფა.



ელექტროენერგიის გამოყენება

ელექტროენერგიის მისაღებად საჭიროა წიაღისეული საწვავის, ბუნებრივი აირის და ნახშირის წვა, რის შედეგადაც ატმოსფეროში სათბური აირები – ნახშირორჟანგი, მეთანი და აზოტის ოქსიდი გამოიყოფა.

მრეწველობა

ქარხნები და სხვა სამრეწველო საწარმოები და პროცესები ხელს უწყობს ნახშირორჟანგისა და სხვა სათბურის აირების გამოყოფას.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნა სულ უფრო და უფრო იზრდება. ამის გამო ხდება ტყეების გაჩეხა და ტერიტორიების სასოფლო-სამეურნეო მიწებად გადაქცევა, რაც ამცირებს ხეების რაოდენობას, რომლებიც ხელს უწყობენ ნახშირორჟანგის შთანთქმას.

ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარება

ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარება ხელს უწყობს სათბური აირების ძირითადი ემისიების წარმოქმნას მისი წარმოების თითქმის ყველა ეტაპზე.

მოსახლეობის ზრდა

ჩვენი პლანეტის მზარდი მოსახლეობას სჭირდება მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რაც თავის მხრიც მოითხოვს მეტ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, რაც ხშირად ტყეების გაჩეხვის მიზეზი ხდება.

ჩვენი არჩევანი

ჩვენი ცხოვრების წესი ასევე ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებას. როდესაც ჩვენ ვირჩევთ მეტ პლასტმასს ან მეტ არამდგრად საგანს/ობიექტს, ჩვენ ხელს ვუწყობთ მეტ ემისიას.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ?

აირჩიე მდგრადობა და ხელი შეუწყვე მდგრად მომავალს

მდგრადი პროდუქტების არჩევა დედამიწას ნახშირბადის ემისიების შემცირებაში დაეხმარება.
ეცადეთ, ისეთი პროდუქტები შეიძინოთ, რომლებიც ნაკლებ რესურსს საჭიროებს და მრავალჯერადი გამოყენებისაა.

ნაკლებად გამოიყენე ტრანსპორტი

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტი აუცილებელია, თქვენ შეგიძლიათ, დაეხმაროთ დედამიწას, მაგალითად, როცა თქვენი საკუთარი ტრანსპორტით გადაადგილდებით, დაიმგზავრეთ სხვები, ხშირად გამოიყენეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

დაზოგე ენერგია

როცა სახლში ან ოფისში ხართ, გამორთეთ სინათლე და ის ტექნიკური მოწყობილობები, რომლებსაც იმ დროს არ იყენებთ.

შეამცირე, ხელახლა გამოიყენე და გადაამუშავე

თქვენ ასევე შეგიძლიათ, დაეხმაროთ დედამიწას ნარჩენების შემცირებაში, თქვენ მიერ წარმოებული ნარჩენების ხელახლა გამოყენებასა და/ან გადამუშავებაში.

აირჩიე განახლებადი

დღესდღეობით, უკვე არსებობს უფრო მეტი განახლებადი ენერგიის წყაროების სხვადასხვა ვარიანტი –მზის, ქარის, ბიო და სხვ. სახის ენერგია.
გამოიყენე ისინი!



კლიმატის ცვლილება გლობალური პრობლემაა და მისი დაძლევა მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიზანი და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.